



**საქართველოს
კონტროლის პალატის
საქმიანობის ანგარიში**

2009

საქართველოს
კონტროლის პალატის
სამმართველოს ანგარიში

2009

თბილისი
2010





სარჩევი

წინასიტყვაობა	7
შესავალი	9
ახალი მანდატი და აუდიტის მეთოდოლოგია	11
აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით	13
ახალი მიზნები	17
სტრუქტურული გარდაქმნა და პერსონალი: პროფესიონალიზმის სრულყოფის დასაწყისი	18
სამუშაო გარემოს გაუმჯობესება: კონტროლის პალატა – თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი დაწესებულება	19
ახალი მიდგომები, გამოწვევები და პრიორიტეტები	20
აუდიტების შედეგები	23
რეაგირება კონტროლის პალატის აუდიტებზე	30
საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მათ მართვაში არსებული ფინანსები	31
სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემა	34
სსიპ – საწარმოთა მართვის სააგენტოს აუდიტის შედეგები	34
სახელმწიფო საწარმოებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები	36
სს „გუდაური“	37
შპს „საქნავთობი-სამგორი“	38
შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	38
შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“	38
შპს „საქავტოტრანსი“	38
ახალი ფურცელი: საქართველოს კონტროლის პალატა – საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოეთის წამყვანი სახელმწიფოების უმადლესი აუდიტორული დაწესებულებების პარტნიორი	39
ახალი ინიციატივები და მიღწევები	43
ახალი ანგარიში	45
კონტროლის პალატის ფინანსები	45
კონტროლის პალატის ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან	45
საჭირო ცვლილებები კანონმდებლობაში	47
დანართები	49

ოპიეტურობა

დამოუკიდებლობა

საჯაროობა

პროფესიონალიზმი



ლევან გოგიტაშვილი
საქართველოს კონტროლის პალატის
თავმჯდომარე

წინასიტყვაობა

სახელმწიფო ფინანსების სფეროში ანგარიშვალდებულების სისტემის ქმედითობა სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორია.

დემოკრატიულ ღირებულებებზე ჩვენი საზოგადოების მზარდი მოთხოვნების პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო რესურსების მხარჯავი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების სისტემის განვითარება.

საქართველოს კონტროლის პალატა მიზნად ისახავს, შეასრულოს სანიმუშო როლი საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამასთანავე, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სახელმწიფო რესურსების მხარჯავი პასუხისმგებელი პირებისა და ორგანოების ანგარიშვალდებულების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება განგრძობადი პროცესია და მიღწეული შედეგების შენარჩუნებას მუდმივი ძალისხმევა სჭირდება.

ჩვენი ამოცანაა, გამოვიყენოთ სახელმწიფოს სახელით საზოგადოების სასიკეთოდ განეული საქმიანობის კომუნიკაციის ყველა ეფექტიანი და თანამედროვე ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც საჯარო დანახებულება ღიად და საჯაროდ წარდგება ფართო საზოგადოების წინაშე.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ჩვენს გზავნილს დაინტერესებული წრეებისათვის, ჩვენ მიერ განეული საქმიანობის სარგებლიანობის ობიექტურად შესაფასებლად.

გასული, 2009 წელი გარდამტეხი იყო საქართველოს კონტროლის პალატისათვის, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სწრაფად ცვალებადი გარემოს გათვალისწინებით.

საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების ახლად შემუშავებულმა სტრატეგიულმა გეგმამ ამბიციური მიზნები დაისახა: დროის მოკლე მონაკვეთში უწყების თანამედროვე უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციად გარდაქმნა და თვისებრივად ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტორული მომსახურების განვითარება.

აღნიშნული მიმართულებით საქართველოს კონტროლის პალატამ არაერთი ნაბიჯი გადადგა, რაც გამოიხატა ახალი ნორმატიული ჩარჩოს ჩამოყალიბებაში, გააქტიურებულ ურთიერთობებში საშინაო და საერთაშორისო ასპარეზზე, იქნება ეს ეროვნული პარლამენტი თუ უცხო ქვეყნების პარტნიორი უმაღლესი აუდიტორული ორგანოები.

პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უპირველესი მიზანია საქართველოს კონტროლის პალატის მანდატის სრულყოფა, თეორიული და ტექნიკური აუდიტორული ცოდნის გაღრმავება, სანიმუშო გამოცდილების გაზიარება და, მთლიანობაში, უწყების პროფესიული და ორგანიზაციული შესაძლებლობების სწრაფი და მდგრადი განვითარება. საქართველოს კონტროლის პალატაში დაიწყო აუდიტის თანამედროვე მეთოდოლოგიისა და სახელმძღვანელოების შემუშავება.

აღნიშნული მრავალმხრივი მიმართულებების პარალელურად, საქართველოს კონტროლის პალატა უწყვეტად ასრულებს საქართველოს კონსტიტუციით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სახელმწიფო სახსრების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს კონტროლის პალატამ განახორციელა ფართომასშტაბიანი აუდიტორული საქმიანობა, რომელიც საჯარო ფინანსების მართვის სისტემის დახვეწისკენ იყო მიმართული. ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო სახელმწიფო ორგანოების ფინანსური მენეჯმენტისა და სახელმწიფო პროგრამების საშუალებით განეული სახელმწიფო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, სახელმწიფო საწარმოების მართვის ეფექტიანობის ხელშეწყობა და სხვ.

ჩვენ მიერ გასულ წელს გატარებული ღონისძიებები საქართველოს კონტროლის პალატის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბებისაკენ გააზრებული სწრაფვის განაცხადია. ამასთანავე, საქმიანობის ზემოაღნიშნული სპექტრით საქართველოს კონტროლის პალატამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მის წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის დასაძლევად, რომელიც მის მიმართ ინსტიტუციური და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას უკავშირდება.

საქართველოს კონტროლის პალატა აქტიურად განაგრძობს სახელმწიფოს კეთილდღეობის განვითარებაში თავისი წვლილის შეტანას. ჩვენი მიზანია, სრულად გავამართლოთ უწყების მიმართ მზარდი საზოგადოებრივი მოლოდინი – ჩვენ და საზოგადოება ერთად დავდგეთ ბიუჯეტის სადარაჯოზე.



შესავალი

საქართველოს კონტროლის პალატის ისტორია 1918 წლიდან იწყება: 28 ივნისს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა მისი სტატუსი.

სახელმწიფო კონტროლიორს ევალებოდა ფინანსების ხარჯვის, კრედიტების განაწილებისა და ანგარიშის წარმოებისთვის თვალყურის დევნება; მასვე უნდა გამოეთქვა მოსაზრება საბეგრო (საგადასახადო) სისტემის, გადასახადების, ბაჟისა და სხვა სახის სახელმწიფო შემოსავლების აკრეფის აკვარგანობაზე.

1921 წელს საბჭოთა ანექსიის განხორციელებიდან 70 წლის განმავლობაში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი სსრკ-ის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი იყო.

დღევანდელი კონტროლის პალატა, რომელიც შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამართალმემკვიდრეა.

საქართველოს კონტროლის პალატა დამოუკიდებელი, აპოლიტიკური და პროფესიონალური ინსტიტუტი – სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოა. იგი უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია – თავის საქმიანობაში ემორჩილება მხოლოდ კანონს. აკრძალულია კონტროლის პალატაზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა.


საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული

სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის პრინციპებია:

- ობიექტურობა;
- დამოუკიდებლობა;
- საჯაროობა;
- პროფესიონალიზმი.

საქართველოს კონტროლის პალატა ხალხის წინაშე საჯარო დანებსებულებათა ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია.





ახალი მანდატი და აუდიტის მეთოდოლოგია

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) IX შეკრებაზე (ლიმა, პერუ) მიღებული „ლიმის დეკლარაცია აუდიტის პროცედურების შესახებ“ ზედმინევნიტ ასახავს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლსა და მიზანს ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს მისი, როგორც საზოგადოების წარმომადგენლის დანიშნულებას – ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების ეფექტიან მართვას.

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული აუდიტის სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკისაგან.

2009 წლიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“, რომელმაც ძირეულად შეცვალა საქართველოს კონტროლის პალატის კომპეტენციის სფერო და უფლებამოსილება.

2009 წლამდე მოქმედი კანონი საქართველოს კონტროლის პალატას „კონტროლის განმარტორციელებელ“ ორგანოდ მოიაზრებდა, ახალმა კანონმა კი მას ახალი მანდატი განუსაზღვრა – საჯარო სექტორის აუდიტი და საჯარო დაწესებულებათა საექსპერტო მომსახურება.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კონტროლის პალატის უფლებამოსილება მისი კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ დაწესებულებაზე ვრცელდება, რომელიც იყენებს საჯარო სიკეთესა და რესურსებს, მათ შორის, უმაღლეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო დაწესებულებებზე.

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორული საქმიანობა მოიცავს:

- **ფინანსურ აუდიტს** – აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმებას მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

- **შესაბამისობის აუდიტს** – აუდიტის ობიექტის მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლასა და ანალიზს;
- **ეფექტიანობის აუდიტს** – სახელმწიფო პროგრამების შედეგის, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენების, მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედეგობრიობის ანალიზსა და შეფასებას.

ახალი კანონის მიღების შემდეგ საქართველოს კონტროლის პალატაში ჩატარდა შიდა ინსტიტუციური კვლევა, რომელმაც გამოავლინა ფუნქციონირების სუსტი და ძლიერი მხარეები და ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საჭიროებდა გარდაქმნას დეკლარირებული მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, განისაზღვრა საჭიროებები და მიზნების მიღწევის საშუალებები. ეს საფუძვლად დაედო საქართველოს კონტროლის პალატის 2009-2011 წლების სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც განხილულ იქნა კონტროლის პალატის პარტნიორ საერთაშორისო და ადგილობრივ სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან ერთად.

” 2009 წლამდე მოქმედი კანონი საქართველოს კონტროლის პალატას „კონტროლის განმახორციელებელ“ ორგანოდ მოიაზრებდა, ახალმა კანონმა კი მას ახალი მანდატი განუსაზღვრა – საჯარო სექტორის აუდიტი და საჯარო დაწესებულებათა საექსპერტო მომსახურება.“

ამ დოკუმენტით 2009-2011 წლების სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა საქართველოს კონტროლის პალატის ჩამოყალიბება საჯარო სექტორის თანამედროვე, დამოუკიდებელ აუდიტორულ ორგანოდ, რომელიც ისარგებლებს საზოგადოების სრული ნდობით და შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს. ამ მიზნის მისაღწევად კონტროლის პალატამ უნდა შეძლოს საჯარო სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირების აუდიტის დამოუკიდებლად განხორციელება, რათა უფრო ღირებული გახდეს საჯარო სექტორის საქმიანობა, ხელი შეეწყოს საჯარო ფინანსების მართვისა და, ზოგადად, საჯარო ადმინისტრირების გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევის, პროგრესის შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა საქართველოს კონტროლის პალატის სტრატეგიის განხილვისა და განახლების საჭიროება: 2009 წლის ბოლოდან კონტროლის პალატაში სტრატეგიის განახლებისა და ახალი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს.



აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით

ახალი კანონით საქართველოს კონტროლის პალატას დაეკისრა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით განხორციელების ვალდებულება. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით კონტროლის პალატამ 2009 წელს შეიმუშავა ერთნაირი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა შემდეგ საფეხურებს:

- კონტროლის პალატის აუდიტის სტანდარტების შემუშავება საერთაშორისო აუდიტის სტანდარტების საფუძველზე;
- კონტროლის პალატის აუდიტის სახელმძღვანელოს შექმნა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე;
- კონტროლის პალატის თანამშრომელთა გადამზადება და პარალელურად აუდიტის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა და საპილოტე აუდიტის ჩატარება.

აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა 2009 წლის აგვისტოში დაიწყო. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, უმოკლეს ვადაში შემუშავდა აუდიტის ის სტანდარტები, რომელთა საშუალებითაც რეგულირდება საქართველოს კონტროლის პალატის მიერ წარმართული აუდიტის პროცესი, მოხდა თანამშრომელთა გადამზადება, მომზადდა კონტროლის პალატის აუდიტის სახელმძღვანელოს პროექტი.

აუდიტსა და ძველ რევიზიის პროცესს შორის არსებული ძირითადი განსხვავებებია:

- შიდა კონტროლის სისტემის შეფასება, რომელიც საჯარო ფინანსების მართვის პროცესს უფრო მოქნილსა და ეფექტიანს ხდის;
- შესაძლებელია ფინანსურმა აუდიტმა მთლიანი სტრუქტურა მოიცვას;

- წინასწარ განსაზღვრული რისკების შეფასების პროცედურები საშუალებას იძლევა, დაიზოგოს ადამიანური და დროის რესურსები;
- აუდიტის აქტი გაცილებით სანდო გახდა; იგი ადვილად აღსაქმელია და აუდიტის ობიექტის ყველა არსებით ასპექტს მოიცავს.

საქართველოს კონტროლის პალატა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე წარმართავს რისკზე დაფუძნებული აუდიტის პროცესს. აუდიტის დროს არსებითი უზუსტობებისა და ნაკლოვანებების შეუმჩნეველად დარჩენის აუდიტორული რისკი კონტროლის პალატამ 2%-ის ოდენობით განსაზღვრა.

აუდიტის პროცესის ძირითადი ეტაპებია:

დაგეგმვის პროცესი, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებას, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებას, რისკების შეფასებას, არსებითობის განსაზღვრას, შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შეფასებას.

ანალიტიკური პროცედურების ჩატარება საშუალებას იძლევა, მთელი წლის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების საერთო სურათი შეიქმნას, კერძოდ, განისაზღვროს ბუღალტრული ანგარიშები, ოპერაციები, კოეფიციენტები და ტენდენციები, რომელთაც შეიძლება არსებითი შეცდომების რისკის არსებობის სიგნალი მოგვცეს. შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შემოწმების მიზანია იმის გამოვლენა, სათანადოდ არის თუ არა დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად მოხდეს პოტენციური დარღვევების აღმოჩენა და აღმოფხვრა.

წინასწარ ჩამოყალიბებული დაგეგმვის პროცედურების საფუძველზე განისაზღვრება განსახორციელებელი აუდიტის შემდგომი პროცედურები, მასშტაბი და ვადები; დგინდება შესაბამისი აუდიტორული მიდგომა, კერძოდ, ხდება შესამოწმებელი დოკუმენტაციის შერჩევის ზომის დადგენა აუდიტორული შერჩევის საშუალებით, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ აუდიტორულ რწმუნებულებას 98%-ის ოდენობით; მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში, მაღალი რისკის შემცველ ობიექტებში, შესაძლებელია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გამოყენებულ იქნეს დოკუმენტაციის 100%-ით შემოწმება.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას იძლევა, მნიშვნელოვნად დაიზოგოს ადამიანური და დროის რესურსები;

დამოუკიდებელი აუდიტორული პროცედურები (დოკუმენტაციის შემოწმება), როდესაც ხდება უკვე შერჩეული დოკუმენტაციის შემოწმება როგორც ფინანსური, ისე კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით;

ანგარიშგების ეტაპი, რომლის დროსაც ხდება ყველა მნიშვნელოვანი, არსებითი ასპექტის შეჯამება-შეფასება; მათზე დაყრდნობით გამოითქმება მოსაზრება/დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებასა და კანონთან შესაბამისობაზე.

მოსაზრება/დასკვნა შეიძლება იყოს:

უპირობო – მთლიანობაში, ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება და მასში ასახული ოპერაციები შეესაბამება დადგენილ ნორმებსა და საკანონმდებლო მოთხოვნებს;

პირობითი – აუდიტის შედეგად აღმოჩენილი დარღვევები იმდენად არსებითი არ არის, რომ აუდიტის ობიექტს უარყოფითი დასკვნა მიეცეს ან უარი ითქვას დასკვნის გაცემაზე;

უარყოფითი – ორგანიზაციის საქმიანობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებსა და ნორმებს.

დასკვნის გაცემაზე უარი ითქმება, როდესაც გარკვეული შეზღუდვების გამო შეუძლებელია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმა.

„ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, უმოკლეს ვადაში შემუშავდა აუდიტის ის სტანდარტები, რომელთა საშუალებითაც რეგულირდება საქართველოს კონტროლის პალატის მიერ წარმართული აუდიტის პროცესი, მოხდა თანამშრომელთა გადამზადება, მომზადდა კონტროლის პალატის აუდიტის სახელმძღვანელოს პროექტი.“

დიდი ძალისხმევის შედეგად, საქართველოს კონტროლის პალატამ უმოკლეს ვადაში შეძლო იმის გაკეთება, რასაც ზოგიერთ ქვეყანაში წლები დასჭირდა, მაგრამ იმავე ტემპებით წინსვლისა და აუდიტის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვისათვის, პირველ რიგში, საჭიროა სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სტრუქტურების ხელშეწყობა; კერძოდ, აუცილებელია ელექტრონული აღრიცხვიანობის შემოღება, პასუხისმგებელი პირების გადამზადება, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის ფუნქციის განვითარება.

საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგინოს მოხსენება მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ ახორციელებდა იგი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანალიზს. ამ პროცესის ძირითადი ნაკლოვანება ის იყო, რომ ერთი თვის განმავლობაში ტარდებოდა ზოგადი ანალიზი, რომელიც გამოთხოვილ ინფორმაციას ეფუძნებოდა, და დოკუმენტაციის შემოწმება პრაქტიკულად არ ხდებოდა.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს; კერძოდ, საქართველოს კონტროლის პალატა ახალი მეთოდოლოგიის



საფუძველზე ყოველწლიურად განახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აუდიტს, რომლის შედეგიც იქნება არა კონტროლის პალატის მოხსენება, არამედ აუდიტის დასკვნა (აქტი/მოსაზრება).

ფინანსური აუდიტი (კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების ჩათვლით) მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დაიწყება და 6 თვეს გაგრძელდება. ამ პროცესს სისტემატური ხასიათი ექნება, რაც კონტროლის პალატას ყოველწლიურად საბიუჯეტო სახსრების დაახლოებით 75%-ის ხარჯვის გაკონტროლების საშუალებას მისცემს.

აღნიშნული პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სავალდებულო გახდეს, ხოლო წლიური ბალანსის წარდგენის თარიღი – 1 მარტი – 1 თებერვლით შეიცვალოს. ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე უწყებების პროგრამულ უზრუნველყოფაზე.



ახალი მიზნები

საქართველოს კონტროლის პალატის უახლოესი პერიოდის მიზნებია:

■ **ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება**, რომელიც მოიცავს:

- სტრატეგიული დაგეგმვის მუდმივ განახლებას;
- ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას;
- რესურსების მართვის გაუმჯობესებას, აგრეთვე სწავლების სისტემისა და სტრატეგიის შემუშავებას;
- შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარებას;
- კონტროლის პალატის საქმიანობის მეტი საჯაროობის უზრუნველსაყოფად კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავებას (კომუნიკაცია სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, მასმედიასთან, პროფესიულ და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან);
- ინფრასტრუქტურის განვითარებასა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის შემუშავებას.

■ **პროფესიული შესაძლებლობების განვითარება**, რომელიც მოიცავს:

- სახელმწიფო აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფასა და საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლას;
- ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავებასა და ეტაპობრივ დანერგვას;
- ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს შექმნასა და ეტაპობრივ დანერგვას;
- აუდიტორული საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვასა და მართვას;
- ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას.

სტრუქტურული გარდაქმნა და პერსონალი: პროფესიონალიზმის სრულყოფის დასაწყისი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონის ამოქმედებისთანავე კონტროლის პალატაში დაიწყო სტრუქტურული გარდაქმნა.

ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, არსებული სარევიზიო დეპარტამენტების ლიკვიდაციის შემდეგ, აუდიტის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები ჩამოყალიბდა სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ფუნქციურ-დარგობრივი პრინციპის დაცვით.

შეიქმნა შემდეგი **დარგობრივი მიმართულებების აუდიტის დეპარტამენტები**:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი;
- სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი;
- თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი;
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი.

კანონით მინიჭებული დამატებითი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ასევე შეიქმნა **ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი**.


გარდა ამისა, შეიქმნა **შიდა აუდიტის დეპარტამენტი**. საქართველოს კონტროლის პალატამ გააცნობიერა შიდა აუდიტის მნიშვნელობა და საჯარო დანესებულებებს შორის პირველმა ჩაუყარა საფუძველი შიდა აუდიტის სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ კანონი არ იყო მიღებული (საქართველოს პარლამენტმა ეს კანონი 2010 წლის 26 მარტს მიიღო; იგი ჯერ სრულად არ არის ამოქმედებული, არ არის შექმნილი მეთოდოლოგიური და რეგულაციების ბაზა, არ არსებობს შიდა აუდიტის სახელმწიფო სისტემა), კონტროლის პალატამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შიდა აუდიტი ჩაატარა.

საქართველოს კონტროლის პალატაში სტრუქტურულ გარდაქმნასთან ერთად დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაციის, მისი პროფესიონალიზმისა და ხარისხის ზრდის მიზნით.

საქართველოს კონტროლის პალატაში არსებობს აუდიტორ-სტაჟიორის საშტატო ერთეული, რომლის შემოღებაც მიზნად ისახავდა კონტროლის პალატაში აუდიტორული საქმიანობით დაკავებული კადრების მომზადების სტაბილური, მოქნილი და ანაზღაურებადი მექანიზმის შექმნას. საკონკურსო შერჩევისა და სწავლების შემდეგ 6 წარმატებული ახალგაზრდა კონტროლის პალატაში აუდიტორ-ასისტენტად აგრძელებს მუშაობას.

განდარული სტრუქტურა


(2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)



■ მანქანები ■ ძალი

თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა კონტროლის პალატაში მუშაობის სტაჟის მიხედვით

(2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)



■ პალატაში მუშაობის სტაჟი 10 წელზე მეტი ■ პალატაში მუშაობის სტაჟი 0-5 წელი ■ პალატაში მუშაობის სტაჟი 5-10 წელი

სამუშაო გარემოს გაუმჯობესება: კონტროლის პალატა – თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი დაწესებულება

საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთათვის მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა ის გამონვევა იყო, რომელიც კონტროლის პალატამ წარმატებით დაძლია: კონტროლის პალატის ქუთაისსა და თბილისში განლაგებული ადმინისტრაციული შენობების შიდა კაპიტალური სამშენებლო სამუშაოებისთვის 1 949 005 ლარი დაიხარჯა, ორგტექნიკის შეძენისათვის – 208 700 ლარი, ხოლო საოფისე ინვენტარისთვის – 284 000 ლარი.



ახალი მიდგომები, გამოწვევები და პრიორიტეტები

საქართველოს კონტროლის პალატა აუდიტორულ საქმიანობას წარმართავს აუდიტის გეგმებით.

იგი უფლებამოსილია, გარდა გეგმური აუდიტისა, ჩაატაროს არაგეგმური აუდიტი, რომელიც „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით ტარდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისა და საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მიმართვის საფუძველზე, აგრეთვე კონტროლის პალატის პრეზიდენტის განწყვეტილებით.


არაგეგმური აუდიტი ასევე ტარდება საპარლამენტო უმცირესობის ან/და იმ ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც არ არის გაერთიანებული საპარლამენტო უმრავლესობაში.

კონტროლის პალატის მიერ ჩატარებულმა აუდიტმა მოიხვედრა გიჟები დაახლოებით 4 მილიარდ 455 მილიონი ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 243 აუდიტი (მათ შორის, 209 გეგმური და 34 არაგეგმური), რაც 2008 წელს ჩატარებული შემოწმებების რაოდენობაზე 60-ით ნაკლებია. ეს ფაქტი კონტროლის პალატაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებითა და აუდიტის ხარისხის ზრდისაკენ სწრაფვით აიხსნება – პალატის საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს არა ჩატარებული აუდიტების რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი.


„ პალატის საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს არა ჩატარებული აუდიტების რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი.“

2008-2009 წლებში ჩატარებული აუდიტების (გამგზავნი და არაგამგზავნი) რაოდენობა



რეფორმირების პროცესში კონტროლის პალატის აუდიტორული საქმიანობის ახლებური ხედვის მაგალითია ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში 68 აუდიტი ჩატარდა **კამერალური** ფორმით (2008 წელს მხოლოდ 1 იყო ასეთი). აუდიტის ეს ფორმა გულისხმობს აუდიტის ჩატარებას აუდიტის ობიექტზე მისვლის გარეშე, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

2009 წელს გასვლითი და კამერალური ფორმით ჩატარებული აუდიტები



კამერალური ფორმით ჩატარებული აუდიტების რაოდენობის ზრდის აქცენტირებისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აუდიტის ობიექტს არ ექმნება უხერხულობა და არ ფერხდება მისი საქმიანობის ჩვეულებრივი რიტმი. შედეგად, შემცირდა როგორც აუდიტებში მონაწილე აუდიტორთა, ისე საშუალოდ ერთ აუდიტში მონაწილეთა რაოდენობა, ანუ შესაძლებელი გახდა მაღალი ხარისხის პროდუქტის ნაკლები დანახარჯით მიღება.

მნიშვნელოვანი სიახლეა აუდიტის წლიური გეგმის შედგენის ახალი პრინციპი: ნაკლები აუდიტის ობიექტი, მეტი საჯარო რესურსის აუდიტი; ანუ კონტროლის პალატა ახორციელებს არა ყველა საჯარო დაწესებულების, არამედ მხოლოდ იმ დაწესებულებათა აუდიტს, რომლების ერთად განაკარგავენ სახელმწიფო ბიუჯეტის არანაკლებ 75%-ს.

საქართველოს კონტროლის პალატამ ჯერ კიდევ 2010 წლის დაწყებამდე განსაზღვრა ის პრიორიტეტები, რომლებითაც წარმართავდა საქმიანობას; ეს საქართველოს კონტროლის პალატის ისტორიაში პირველად მოხდა.

2010 წლისთვის საქართველოს კონტროლის პალატას განსაზღვრული აქვს შემდეგი 10 პრიორიტეტული სფერო და მიმართულება:

1. საჯარო სექტორის ფინანსური მართვა;
2. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მართვა;
3. სოციალური პროგრამების მართვა;
4. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა;
5. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების მართვა;
6. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროს მართვა;
7. ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა;
8. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მონიტორინგი;
9. საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მდგომარეობის მონიტორინგი;
10. საჯარო ფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი მაუწყებლობის მონიტორინგი.



აუდიტის შედეგები

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულმა აუდიტებმა მოიცვა ბიუჯეტი დაახლოებით 4 მილიარდ 455 მილიონი ლარის ოდენობით.

ამ აუდიტებმა გამოავლინა სხვადასხვა სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის დაახლოებით 1 195 შემთხვევა. ხშირად ირღვეოდა შემდეგი აქტები:

- „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ საქართველოს კანონები;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება;
- „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების განების წესის შესახებ“ ინსტრუქცია;
- „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქცია;
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“ ინსტრუქცია.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების, ხელშეკრულებათა პირობების შესრულების შესაბამისობის ნაკლოვანებები და სხვა დარღვევები:

- **შესყიდვების არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ განხორციელება და ხელშეკრულებების არაუფლებამოსილ პირებთან გაფორმება.** მაგალითად, 2006-2007 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა რეზიდენტების მოსამზადებლად შესყიდვების მარეგულირებელი აქტების დარღვევით 337.3 ათასი ლარის მომსახურება შეისყიდა არააკრედიტებული კლინიკებისაგან, რომელთაც არ ჰქონდათ რეზიდენტე-

ბის მომზადების უფლება. აუდიტით დადგინდა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები – კლინიკები – თვითნებურად მართავდნენ ფინანსებს. უნივერსიტეტის ნაცვლად, თავად ისინი, დამოუკიდებლად ახორციელებდნენ სახელმწიფო შესყიდვებს, რომელთა ღირებულებამ 2004-2009 წლებში 3 779.0 ათასი ლარი შეადგინა.

■ **ხელშეკრულებათა მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსური პირობების შეუსრულებლობა.** მაგალითად, სამედიცინო უნივერსიტეტსა და საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 750.0 ათასი ლარის ინვესტიციიდან აუდიტის პერიოდში მოიჯარემ მხოლოდ 7% განახორციელა. ამასთანავე, იგი თავს არიდებდა განსაზღვრულ ვადაში საიჯარო ქირის გადახდას.

■ **ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობა** (რაც შეუძლებელს ხდის განუხილველი ხარჯებისა და შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენას). ასეთი დარღვევის მაგალითია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 19 ხელშეკრულების (საერთო ღირებულება – 2 536.8 ათასი ლარი) გაფორმება, ასევე, სამედიცინო უნივერსიტეტში 130.0 ათასი ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

■ **არასწორი მენეჯმენტი და სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მოპოვებისათვის სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობა.** მაგალითად:

აუდიტის პერიოდში სამედიცინო უნივერსიტეტი თავის საბანკო ანგარიშებზე საპროცენტო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მიიღებდა დაახლოებით 200.0 ათას ლარს, რომლიდანაც გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 20.0 ათას ლარზე მეტი ჩაირიცხებოდა;

30.5 ათასი ლარის ოდენობის საიჯარო ქირა, სამედიცინო უნივერსიტეტის ანგარიშის ნაცვლად, სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხულიყო;

შესყიდვებისა და სხვა ხელშეკრულებების პირობათა დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით დასაკისრებელი თანხის ოდენობა 45.4 ათასი ლარია.

■ **სახელმწიფო სახსრების არაეფექტიანი, არამიზნობრივი ხარჯვა.** მაგალითად:

სსიპ – ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელმა ცენტრმა პროგრამის მართვის პროცესების არაჯეროვნად დაგეგმვისა და განხორციელების გამო არარაციონალურად გასწია 600.0 ათას ლარამდე ხარჯი;

სამედიცინო უნივერსიტეტმა არასწორად ჩამოიწერა 23.0 ათასი ლარის ღირებულების სანვაი;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დეკორატიული ყვავილების შექმნა-მონტაჟისთვის 28.3 ათასი ლარის ხარჯი გასწია, ერთი წლის შემდეგ კი ეს ყვავილები, როგორც ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი, ჩამოიწერა.

■ **სახელმწიფო პროგრამების არასათანადო ადმინისტრირება და მეთოდოლოგიური ხარვეზები.** მაგალითად, სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალური დახმარების

სახელმწიფო პროგრამის მართვის აუდიტის შედეგად აღმოჩენილ იქნა ასეთი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში არსებული ხარვეზები, რომლებიც გავლენას ახდენდა დახმარების ბენეფიციარი სამიზნე ჯგუფების სწორად განსაზღვრაზე. ასევე გამოვლინდა პროგრამის ადმინისტრირების ზოგიერთი ნაკლოვანება: არ იყო განსაზღვრული დახმარების გაცემის ვადები, არ ხორციელდებოდა საბანკო დანესებულებაში ბენეფიციართა პირადი ანგარიშების სათანადო მონიტორინგი, რის გამოც ამ ანგარიშებზე უმოძრაოდ ირიცხებოდა 400 000 ლარზე მეტი და სხვ.

საქართველოს კონტროლის პალატამ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ შესაბამისი რეკომენდაციებით, რომელთა შედეგად საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი ნორმატიული აქტი (2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“). იგი მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

„ აუდიტის შედეგებმა ცხადყო, რომ სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან დავალიანებების წარმოშობის, მათი ინვენტარიზაციისა და დავალიანებათა მოცულობების დაზუსტების საქმეს. “

- **ასიგნებათა გარეშე ვალდებულებების აღება და გადახდების განხორციელება.** ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.
- **დოკუმენტური მონიტორინგის სისტემის არარსებობა.** ამის ერთ-ერთი მაგალითია სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში გაცემული სესხების მართვისას აღმოჩენილი ხარვეზები; კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 13 აგვისტოს №539 განკარგულებით, აღნიშნული პროგრამის „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფას“ და შპს „ურეხს“ სესხის სახით მისცა, შესაბამისად, 17 662.5 ათასი და 1 413.0 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 11 აგვისტოს №538 განკარგულებით, სესხის დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჰქონდა დავალდებული, რაც მას არ გაუკეთებია. ამასთანავე, ერთ-ერთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხორბლის ფქვილის ნაცვლად შეძენილ იქნა ხორბალი, მაგრამ ამისთვის მსესხებლის მიმართ სანქციები გამოყენებული არ ყოფილა.


აუდიტის შედეგებმა ცხადყო, რომ სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან დავალიანებების წარმოშობის, მათი ინვენტარიზაციისა და დავალიანებათა მოცულობების დაზუსტების საქმეს. შედეგად, ზოგიერთი დანესებულების ბალანსზე დავალიანებები საერთოდ აღურიცხავი იყო, ხოლო ზოგიერთის ბალანსზე ირიცხებოდა ძველ დავალიანებათა მნიშვნელოვანი თანხები, რომელთა დასაფარავად არ იქნა გატარებული ქმედითი ღონისძიებები. **ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს** აუდიტის პროცესში აღმოჩენილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 10 ლიცენზიის მფლობელის დებიტორული დავალიანება 639.8 ათასი ლარის ოდენობით. ამ დავალიანების წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი თვით სააგენტოს უმოქმედობა იყო.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საჯარო დანესებულებათა დებიტორული დავალიანებების მოცულობა 337 602.6 ათასი ლარით შემცირდა, თუმცა გასულ წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანებების მოცულობის 86 625.3 ათასი ლარით ზრდა იმაზე მიუთითებს, რომ საჯარო დანესებულებებმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა უნდა მიმართონ მათი შემცირებისაკენ, აგრეთვე თავი უნდა შეიკავონ დებიტორული დავალიანებების წარმოქმნელი ახალი ვალდებულებების აღებისაგან.

აუდიტის შედეგებმა აჩვენა, რომ, როგორც წესი, დებიტორული დავალიანების წარმოშობის განმაპირობებელი ძირითადი გარემოებაა კონტრაქტორისთვის პროდუქციისა თუ მომსახურების ღირებულების ავანსის სახით გადახდა ან საქონლისა თუ მომსახურების არადროული დოკუმენტირება. დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით კონტროლის პალატის რეკომენდაციაა ავანსის სახით გადახდის მაქსიმალურად შეზღუდვა, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ხელშეკრულების შესრულების, მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხისა და მიწოდების დროულობის კონტროლის შესაძლებლობა.


ქრედიტორული დავალიანებების საერთო მოსულობა

(2009 წლის 1 იანვრის მდომარეობით)



კრედიტორული დაპალიანების საერთო მოცულობა

(2010 წლის 1 იანვრის მდომარეობით)



საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აუდიტმა აჩვენა, რომ **საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა კალენდარული წლის ბოლოს** მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ბიუჯეტის დაგეგმვასა და მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს; მონაცემები მოყვანილია ცხრილის სახით:

N	მხარჯავი დანახაულობა	2009 წლის ბაზა	2009 წლის დეკემბერში ალტერნატიული ვალდებულების მოცულობა	თანაფარობა (%) 2009 წლის ბაზასთან (გე-3 გრაფა)
1	2	3	4	5
	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	5 468 219 930.81	447 840 844.1	8.2
1.	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	33 805 159.86	2 327 620.1	6.9
2.	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	20 420 152.92	1 361 657.5	6.7
3.	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	17 167 149.30	378 896.0	2.2
4.	საქართველოს მთავრობის კანცელარია	9 102 783.00	547 884.3	6.0
5.	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	12 927 036.00	283 354.4	2.2

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	2 357 572.00	72 263.9	3.0
7. საქართველოს უზენაესი სასამართლო	5 654 000.00	157 929.3	2.8
8. საერთო სასამართლოები	30 591 917.00	410 966.4	1.3
9. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	937 000.00	27 464.2	2.9
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	116 989 912.00	6 080 927.9	5.2
11. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	26 543 805.00	2 167 260.5	8.2
12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	189 864 174.00	371 329 795.4	19.6
13. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	52 645 332.00	1 376 941.8	2.6
14. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	84 688 406.00	4 326 283.6	5.1
15. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	64 698 971.72	1 088 716.0	1.7
16. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	724 879 479.00	119 980 950.4	16.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	144 403 982.00	39 321 878.1	27.2
17. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	573 828 200.00	141 574 248.7	24.7
18. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური	6 500 000.00	449 966.4	6.9
19. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	477 505 482.00	11 678 386.5	2.4
20. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	89 591 359.15	8 823 344.9	9.9

21. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	50 004 507.00	4 648 221.4	9.3
22. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1 507 573 991.00	50 073 544.8	3.3
23. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	69 321 082.66	3 160 363.3	4.6
24. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	8 679 886.00	1 828 834.7	21.1
25. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	25 881 470.00	670 307.6	2.6
26. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	38 735 000.00	468 543.2	1.2
27. სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	19 556 098.00	224 972.4	1.2

რეფორმირების შედეგად კონტროლის პალატა აღარ მიიჩნევა რეპრესიულ დაწესებულებად, მაგრამ იგი, ყველა სხვა დაწესებულების მსგავსად, ვალდებულია, დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედების აღმოჩენისას, ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს. 2009 წლის განმავლობაში 23 ასეთი ფაქტი დაფიქსირდა, 12 შემთხვევაში კი სამართალდამცავი ორგანოების მიმართვის საფუძველზე, კონტროლის პალატის 28 აუდიტორმა საფინანსო-ეკონომიკური შემოწმება/ექსპერტიზა ჩაატარა.

“ რეფორმირების შედეგად კონტროლის პალატა აღარ მიიჩნევა რეპრესიულ დაწესებულებად. “

აუდიტის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შესასწავლად და გადაწყვეტილებების მისაღებად, სამართალდამცავ ორგანოებს გაეგზავნა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებული შემოწმების მასალები ასევე, გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, პროგრამა „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის“, სატყეო დეპარტამენტის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების შემოწმების მასალები. ეს მხოლოდ ნაწილია იმ სახელმწიფო დაწესებულებებისა, რომლებშიც აუდიტის შედეგად დარღვევები აღმოჩენილია.

სებულებების, მუნიციპალიტეტებისა თუ სანარმოებისა, რომელთა აუდიტის შედეგად ბევრი დარღვევა და საეჭვო გარემოება იქნა აღმოჩენილი.

საბიუჯეტო სახსრების დაზოგვასა თუ საბიუჯეტო შემოსავლების მატებაში კონტროლის პალატის მიერ შეტანილმა წვლილმა 12 963 033 ლარი შეადგინა.

აუდიტის შედეგად:

- **სახელმწიფო ბიუჯეტმა დამატებით 5 315 352 ლარი შემოსავალი მიიღო;**
- **გამოვლინდა 5 266 406 ლარის არაშიწოდებელი თუ არააუფიქსირებელი ხარჯვა;**
- **სახელმწიფო ბიუჯეტს 2 381 275 ლარის დიდი ნაწილის მოპოვების შესაძლებლობა გაუჩნდა.**

აღსანიშნავია:

- შპს „ესკო“ – 1 652 036 ლარი;
- შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ – 100 384 ლარი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – 159 699 ლარი;
- საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საექვეყნებო დანესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო – 32 400 ლარი;
- სს „საქენერგორემონტი“ – 11 600 ლარი;
- შპს „საქაერონავიგაცია“ – 35 000 ლარი.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე სამართალდამცავმა ორგანოებმა შეძლეს არაერთი დანაშაულის ფაქტის გამოვლენა. შედეგად, 21 პირი პასუხისმგებლობა იქნა მიცემული, ხოლო სახელმწიფოს 3 324 233 ლარის ოდენობის ზიანი აუნაზღაურდა. აღსანიშნავია:

- შპს „საქნავთობი-სამგორი“ – 963 614 ლარი;
- სს „თბილსრესმშენი“, სს „ერისიმედი“, შპს „მშენებელი“ – 950 000 ლარი;
- სს „გუდაური“ – 740 000 ლარი;
- შპს „მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ – 670 619 ლარი.

რეაგირება კონტროლის პალატის აუდიტზე

საქართველოს ეროვნული ბანკის აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს კონტროლის პალატამ მოახდინა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების ინიცირება და 2010 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების

ბიუჯეტიდან გამომდინარე, შესყიდვები დაექვემდებარა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებს.

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის აქტით მიცემული რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 25 აგვისტოს №541 ბრძანებულებით, სსიპ – „სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაექვემდებარა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აუდიტმა გამოავლინა ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნისას სხვადასხვა სახის წარმომადგენლობით ხარჯებს სწევდა, თუმცა ეს უფლებამოსილება იურიდიულად არ იყო გაფორმებული. საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის აქტში ჩამოყალიბებული რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 5 აპრილის №480 ბრძანებით შეტანილ იქნა შესაბამისი დამატება „დაქირავებული საათის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებაში.

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის შედეგებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი დებატები გახდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონის მიღების ერთ-ერთი საფუძველი. იგი ითვალისწინებს ახალ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის რეგულაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტიანი გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებას და გააუმჯობესებს სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობას.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის პროცესის დასრულებამდე აუდიტის ობიექტებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად თუ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების გადასარიცხად. ამის მაგალითებია: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს კონტრაქტორი კომპანიის მიერ ბიუჯეტში 11 600 ლარის დაბრუნება; შპს „საქაერონავიგაციის“ თანამშრომელთა მიერ მივლინების ზედმეტად გაცემული თანხის 35 000 ლარის დაბრუნება; ლიცენზიის მფლობელი ენერჯეტიკული კომპანიების მიერ 32 000 ლარის გადახდა (მოგვიანებით თანხამ 639 000 ლარი შეადგინა).


საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მათ მართვაში არსებული ფინანსები

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მდგომარეობისა და საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ მოხსენებაში კონტროლის პალატა იმ ნაკლოვანებაზე მიუთითებდა,

რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირების რიცხოვნობის ზრდასთან და მათი ფულადი სახსრების განსხვავებულად მართვასთან არის დაკავშირებული.

მიმდინარე წლის დასაწყისის მდგომარეობით, მთავრობის მიერ შერჩეული 27 საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვაში არსებული სოლიდური ოდენობის ფინანსების (667.6 მილიონი ლარის) 50% სახელმწიფო დაფინანსებაა, 22% – განეული მომსახურების შედეგად მიღებული სახსრები, ხოლო 28% – მიღებული გრანტები, ანუ განსხვავებულად იმართება დიდი ოდენობის საჯარო ფინანსები.

სსიპ-ების შემოსავლების სტრუქტურა



სახელმწიფოში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რიცხოვნობის დაუზუსტებლობა და ფინანსურ ანგარიშგებას დაქვემდებარებულ სსიპ-თა შერჩევის მკაფიო კრიტერიუმების არარსებობა ის ნაკლოვანებებია, რომლებიც გამოსწორებასა და შესაბამისი, სისტემურად გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებს.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 მარტის №68 დადგენილებით, ფინანსური ანგარიშგების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენას დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რიცხოვნობა 27-დან (იხ. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 6 აპრილის №71 დადგენილება) 112-მდე გაიზარდა, რაც მეტ ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას ნიშნავს, მაგრამ მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილებებით პრობლემის სისტემურად გადაჭრა შეუძლებელია.

პრობლემურად რჩება საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ავტონომიურობის ხარისხის საკითხი. ხშირად სამინისტროები მათდამი დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა გაუმართლებელ ადმინისტრირებას ახორციელებენ, რაც უარყოფითად აისახება ამ სსიპ-ების მატერიალურ მდგომარეობაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია სსიპ – ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პერსონალის სამივლინებო ხარჯების 148 409 ლარის ოდენობით დაფარვა.**

„სახელმწიფოში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რიცხოვნობის დაუზუსტებლობა და ფინანსურ ანგარიშგებას დაქვემდებარებულ სსიპ-თა შერჩევის მკაფიო კრიტერიუმების არარსებობა ის ნაკლოვანებებია, რომლებიც გამოსწორებასა და შესაბამისი, სისტემურად გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებს.“

საქართველოს კონტროლის პალატის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით შემოღებულ იქნა ახალი რეგულაციები, რომლებითაც საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის დაწესდა ლიმიტები, რომლებიც ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას და ამალღებს საჯარო რესურსების ეფექტიანად და გამჭვირვალედ ხარჯვის დონეს.



სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემა

2009 წლის ოქტომბრიდან საქართველოს კონტროლის პალატამ სახელმწიფო საწარმოთა მართვის სისტემის მონიტორინგი დაიწყო და წლის ბოლომდე, მიუხედავად დროის სიმცირისა, საწარმოთა მართვის სააგენტოსა და 24 სახელმწიფო საწარმოს შემოწმება შეძლო.

ამ მიმართულებით კონტროლის პალატის საქმიანობამ სახელმწიფო საწარმოთა საკითხი საზოგადოებისა და სახელმწიფო დაწესებულებების ყურადღების ცენტრში მოაქცია, რამაც, თავის მხრივ, აღნიშნული თემით ადმინისტრაციული დაწესებულებების დაინტერესება განაპირობა. კონტროლის პალატამ პროფესიული დახმარება ამ სტრუქტურებსაც აღმოუჩინა.

სსიპ – საწარმოთა მართვის სააგენტოს აუდიტის შედეგები

საწარმოთა მართვის სააგენტოს აუდიტმა მრავალი დარღვევა-ნაკლოვანება გამოავლინა. მათ შორის მნიშვნელოვანია შემდეგი:

- საწარმოთა მართვის სააგენტოს მისსავე დაქვემდებარებაში არსებული 1 426 სახელმწიფო საწარმოდან 506-მა არ წარუდგინა (ან არასრულყოფილად წარუდგინა) 2008 წლის ფინანსური ანგარიში (2009 წლის 2 ნოემბრის მონაცემებით). ამასთანავე, სააგენტოს მათ შესახებ ინფორმაცია არ აქვს;
- სააგენტოს, როგორც სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილ პარტნიორს, ზემოაღნიშნული და სხვა არამოგებიანი საწარმოების მიმართ შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია;
- არ არის აღრიცხული, რა ქონებას ფლობენ სახელმწიფო საწარმოები, და, შესაბამისად, ეს ქონება არ არის სათანადოდ ჩართული ეკონომიკურ ბრუნვაში;
- არ ხორციელდება დივიდენდების სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის ჯეროვანი კონტროლი;

- სააგენტო არასათანადოდ ახორციელებდა სანარმოთა მართვის ბიზნესგეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს: 2009 წელს 1426 სანარმოდან მხოლოდ 258-ის ბიზნესგეგმა დამტკიცდა და ესეც, ზოგიერთ შემთხვევაში, ფორმალურად მოხდა;
- არცთუ იშვიათად სახელმწიფო სანარმოები ისე იღებდნენ ვალდებულებებს, რომ ამის შესახებ სააგენტო ინფორმირებული არ იყო; შედეგად, ვალების ხელოვნური და დაუსაბუთებელი გაზრდით სანარმოთა გადახდისუნარიანობა შემცირდა;
- როგორც წესი, სანარმოთა ხარჯები ფაქტობრივად განეულ იქნა მეტი ოდენობით, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო ბიზნესგეგმებით, შესაბამისი ცვლილებებისა და სააგენტოს თანხმობის გარეშე;
- ხშირი იყო სანარმოთა მიერ უძრავი ქონების იჯარით გაცემა სააგენტოს თანხმობის გარეშე ან სააგენტოს თანხმობით, მაგრამ მის მიერ დადგენილი ფასის გაუთვალისწინებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლის პალატამ სანარმოთა მართვის სააგენტოს მისცა რეკომენდაცია სახელმწიფო სანარმოთა შემდგომი ფუნქციონირების ან სახელმწიფოს მართვაში შენარჩუნების მიზანშეწონილობის საკითხზე სისტემურად მსჯელობის თაობაზე, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად ეკონომიკის იმ პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრის შესახებ, სადაც სახელმწიფო სანარმოები გააგრძელებენ ფუნქციონირებას (დანარჩენი სანარმოები კი კერძო გახდება).

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, სანარმოთა მართვის სააგენტომ დაიწყო მუშაობა სახელმწიფო სანარმოთა მართვის სისტემურ მონესრიგებაზე.





სახელმწიფო საწარმოებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

საწარმოთა მართვის სააგენტოში აღმოჩენილმა დარღვევებმა განაპირობა სახელმწიფო საწარმოებში შემონმება-აუდიტის ჩატარება, რომელმაც მნიშვნელოვანი პრობლემები გამოკვეთა:

- საწარმოთა უმრავლესობა ვერ ასრულებს თავის ძირითად, საწესდებო ფუნქციას; შესაბამისად, სახელმწიფო ვერ იღებს იმ შედეგს, რომელსაც ამ საწარმოების ჩამოყალიბების დროს მოელოდა. ეს ზოგჯერ საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიძველეთაა განპირობებული, ზოგ შემთხვევაში კი ამკარაა საწარმოს არაეფექტიანი მართვა (ასეთებია, მაგალითად, შპს – გამომცემლობა „ნაკადული“, შპს „სპეცტრანსი“, შპს „საქსპეცტრანსი“, შპს „ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი“);
- ბიზნესგეგმები ზერელედაა შედგენილი, არ ასახავს საწარმოთა რეალურ მდგომარეობასა და შესაძლებლობებს, რაც სუსტ მენეჯმენტზე მიუთითებს. შესაბამისად, სახელმწიფო ვერ იღებს გაცემული რესურსების ადეკვატურ ფინანსურ შედეგს (ეს პრობლემა გამოიკვეთა ყველა საწარმოში);
- უმრავლეს შემთხვევაში არ ხდება საწარმოთა გამგებლობაში არსებული ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენება და ჯეროვანი მოვლა-პატრონობა. საწარმოებმა თავიანთ ძირითად საქმიანობად და, შესაბამისად, შემოსავლის წყაროდ აქციეს გამოუყენებელი არასაცხოვრებელი ფართობების იჯარით და ქირავნობით გაცემა, ხშირად – მოქმედი კანონმდებლობის დარღვევითაც კი (მაგალითად, შპს – გამომცემლობა „ნაკადული“ – ქ. თბილისის ცენტრში 815 კვ.მ გამოუყენებელი ფართობი დაახლოებით ნახევარი მილიონი აშშ დოლარის საბაზრო ღირებულებით; შპს „სპეცტრანსი“ – 3 069.4 ათასი ლარის ღირებულების გამოუყენებელი მიწა და შენობა-ნაგებობები; შპს „საქსპეცტრანსი“ – 1 050.0 ათასი ლარის ღირებულების გამოუყენებელი მიწა და შენობა-ნაგებობები);

- ფუნქციური დაუტვირთაობის პირობებში სანარმოები მაინც ინარჩუნებენ დიდ საშტატო რიცხოვნობას; ის მცირე შემოსავალი, რომელიც მათ აქვთ, პერსონალის შენახვასა და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებს ხმარდება (ეს პრობლემა გამოიკვეთა ყველა სანარმოში);
- როგორც წესი, სანარმოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დაფარვას და გადასახადების სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას. მაგალითად, შპს „გუდაურს“ აღებული აქვს სახელმწიფო სესხი 13 629.6 ათასი ლარის ოდენობით, აგრეთვე სანარმოთა მართვის სააგენტოს ნებართვის გარეშე – 587.2 ათასი ლარისა და 9.0 ათასი აშშ დოლარის ოდენობის კომერციული სესხები.

ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე სანარმოს მაგალითზე განხილული დარღვევებიც კი თვალსაჩინოს ხდის საკითხის აქტუალობას.

სს „გუდაური“

- სს „გუდაურის“ დებიტორული დავალიანება შპს „ე.ს. გუდაურისადმი“ უსაფუძვლოდ იყო შემცირებული 53 069 ლარით, ხოლო კრედიტორული დავალიანება – გაზრდილი 398 440 ლარით;
- სანარმომ გასწია მისთვის არახელსაყრელი ხარჯები 280 000 ევროს და 1 234 130 ლარის ოდენობით;
- სანარმომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 ივლისის №359 განკარგულებით გამოყოფილი სესხიდან (6 000 000 ევროს ეკვივალენტი თანხა – 13 629 600 ლარი) 1 725 300 ლარი არამიზნობრივად დახარჯა.

შპს „საქნავთობი-სამგორი“

შპს „საქნავთობი-სამგორმა“ მისთვის არახელსაყრელი პირობებით, კერძოდ, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის გარეშე და მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, შპს „რუგე კაპიტალს“, რომლის დამფუძნებელი და 100-პროცენტიანი წილის მფლობელი შპს „საქნავთობი-სამგორის“ დირექტორის შვილია, მისცა 300 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი. შედეგად, შპს „საქნავთობი-სამგორმა“ არამიზნობრივად, არახელსაყრელად გამოიყენა სახელმწიფო სანარმოს სახსრები.

სესხი გაიცა 14%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, თუმცა, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მისი გაცემის დროისათვის უცხოურ ვალუტაში სესხებზე განაკვეთი იურიდიული პირებისთვის, შესაბამისად, 18,2% და 18,8% იყო.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 3 პირი.

შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

- საქართველოს კონტროლის პალატის მიმართვის შემდეგ „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით გადარიცხა 1.65 მილიონი ლარი, რომელიც მანამდე საბანკო დეპოზიტზე იყო განთავსებული;
- საწარმოს მიერ განეული მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია ოფისის იჯარის ხარჯები, რომლებმაც აუდიტის პერიოდში 540.5 ათასი ლარი შეადგინა. საქართველოს კონტროლის პალატის რეკომენდაციით, ძვირად ღირებული იჯარა შეწყვეტილია.

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“

- 2007 წელს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ დაგეგმილზე 605.9 ათასი ლარით მეტი საერთო ხარჯი გასწია;
- საწარმოს სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით გადასახდელად 100.3 ათასი ლარი დაერიცხა.

შპს „საქავტოტრანსი“

საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ 2000 წელს გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე (რომელიც სამგზავრო მარშრუტების მომსახურების უფლების 5 წლის ვადით მოპოვებას ითვალისწინებდა) შპს „საქავტოტრანსი“, როგორც ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, ზოგიერთ საქალაქთაშორისო მარშრუტზე მომსახურების უფლება 5 წლით მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის შემდეგ ამ სფეროში ტენდერი არ ჩატარებულა, ორგანიზაცია დღემდე ახორციელებს სამგზავრო გადაზიდვებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საწარმო, რომლის შემოსავლებმა 2007-2009 წლებში 1.2 მილიონი ლარი შეადგინა, ნაგებიანია. დღეს საქალაქთაშორისო და შიდასარაიონო სამგზავრო გადაზიდვებს სახელმწიფო არ არეგულირებს.



ახალი ფურცელი: საქართველოს კონტროლის პალატა - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უხსოვთის წამყვანი სახელმწიფოების უმაღლესი აუდიტორული დაწესებულებების პარტნიორი

საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონტროლის პალატის განვითარებისათვის და მისი საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისთვის სასურველ და თანასწორ პარტნიორად ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს კონტროლის პალატა 1992 წლიდან არის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI), 1993 წლიდან – უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI), ხოლო 2004 წლიდან – უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აზიური ორგანიზაციის (ASOSAI) წევრი. იგი წარმოდგენილია INTOSAI-ს პროფესიული სტანდარტების კომიტეტში, შიდა კონტროლის სტანდარტების ქვეკომიტეტში, პროგრამის შეფასების სამუშაო ჯგუფსა და გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფში, აგრეთვე EUROSAI-ს გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფში.

საქართველოს კონტროლის პალატას 2009 წლის განმავლობაში მჭიდრო და შედეგიანი ურთიერთობები ჰქონდა:

- შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან (SNAO);
- საქართველოში ევროკომისიის დელეგაციასთან (EC Delegation), მსოფლიო ბანკთან (WB), განვითარების პარტნიორთა ერთობლივ ჯგუფთან (SIDA, DFID, Koninkrijk der Nederlanden), მმართველობისა და მენეჯმენტის განვითარების მხარდაჭერის (SIGMA) პროექტთან;
- აშშ-ის სახელმწიფო საანგარიშო ოფისთან (GAO);
- გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GTZ);
- ლატვიის სახელმწიფო აუდიტორულ ოფისთან.

2009 წლის 15-18 სექტემბერს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ და შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის (SNAO) გენერალურმა დირექტორმა ხელი მოაწერეს გრძელვადიანი თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც გახდა საქართველოს კონტროლის პალატისა და შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის ინტენსიური და ნაყოფიერი ურთიერთობების დაწყების საფუძველი.

შვედ კოლეგებთან სტრატეგიული თანამშრომლობის მიმართულებებია:

- ფინანსური აუდიტი;
- შიდა და გარე კომუნიკაცია;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგია;
- მენეჯმენტი;
- ეფექტიანობის აუდიტი.

მმართველობისა და მენეჯმენტის განვითარების მხარდაჭერის (SIGMA) პროექტის ფარგლებში წარმართული საქმიანობა მოიცავდა საქართველოს კონტროლის პალატის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:



- სახელმწიფო აუდიტორთა გადამზადება, სისტემური უზრუნველყოფა და გადამზადების პროგრამის შემუშავება;
- უწყებრივი და გარე აუდიტი, მათი ურთიერთქმედება;
- წლიური ანგარიშებისა და მოხსენებების მომზადება.

საქართველოს კონტროლის პალატის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო 2009 წლის 2-4 დეკემბერს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ვიზიტი აშშ-ში.

ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო საანგარიშო ოფისის (GAO) მოქმედ გენერალურ აუდიტორთან და საანგარიშო ოფისის სტრატეგიული დაგეგმვის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან.

სწორედ ამ ვიზიტის დროს დაწყებული თანამშრომლობის შედეგად განახლდა საქართველოს კონტროლის პალატის მენეჯერთა და აუდიტორთა გადამზადების საერთაშორისო პროგრამა (International Auditor Fellowship Program), რომლის ფარგლებშიც კონტროლის პალატის თანამშრომლები უფასოდ გაივლიან სწავლებასა და ტრენინგებს აშშ-ის სახელმწიფო საანგარიშო ოფისის ტრენინგცენტრში.

ამ ანგარიშის საქართველოს პარლამენტში წარდგენის მომენტის დროს (2010 წლის მაისი) საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორი ტრენინგცენტრში უკვე გადის ინტენსიური სწავლების კურსს.

2009 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) რეგიონალური ბიუროს ხელმძღვანელმა საქართველოს კონტროლის პალატასა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას შორის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ადგილობრივი ბიუჯეტების აუდიტი;
- ეფექტიანობის აუდიტი;
- წლიური ანგარიშებისა და მოხსენებების მომზადება.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან პარტნიორობის ფარგლებში 2010 წელს საქართველოს კონტროლის პალატის 4 აუდიტორი სტაჟირებას გაივლის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ აუდიტორულ ოფისში.

2009 წლის 16 ნოემბერს ლატვიის სახელმწიფო აუდიტორული ოფისის თავმჯდომარის საქართველოს კონტროლის პალატაში ვიზიტით დაინყო ქართველ და ლატვიელ კოლეგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა.

ვიზიტის მიზანი იყო ასევე საქართველოს კონტროლის პალატისთვის აუდიტის თანამედროვე მეთოდოლოგიის შემუშავება-დანერგვასა და გარე აუდიტის განვითარებაში ხელის შეწყობა.

მომდევნო 2 ვიზიტის დროს საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებს საშუალება მიეცათ, გასცნობოდნენ ლატვიელი კოლეგების გამოცდილებას.

გარდა ორმხრივი თანამშრომლობისა, საქართველოს კონტროლის პალატა 2009 წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სემინარებში, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.



ახალი ინიციატივები და მიღწევები

საქართველოს კონტროლის პალატის ისტორიაში მნიშვნელოვანი სიახლეა უცხოელი კოლეგების დახმარებითა და მონაწილეობით საქართველოს კონტროლის პალატის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული ეთიკის – მაღალი პროფესიული სტანდარტებისა და პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს კონტროლის პალატისა და მისი თანამშრომლებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სტანდარტებისა და აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით კონტროლის პალატის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფისათვის.

დაწყებულია მუშაობა ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოზე, რომელიც შეასრულებს სამაგიდო წიგნის ფუნქციას კონტროლის პალატის მიერ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) პროფესიული სტანდარტების მიხედვით აუდიტის დაგეგმვის, მომზადების, ჩატარებისა და აუდიტის შედეგებზე ანგარიშების მომზადების პროცესისთვის.

შემუშავებულია ზოგადი, სამუშაო და ანგარიშების სტანდარტების პროექტები.


ევროპისა და აშშ-ის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის პროცესში გამოსაყენებელი სამუშაო დოკუმენტაცია. ამ დოკუმენტებით პრაქტიკაში სარგებლობის მიზნით წარმატებით მიმდინარეობს საპილოტე აუდიტი, რომლის დროსაც გამოიყენება ახალი მეთოდოლოგიით გათვალისწინებული აუდიტის პროცედურები.

საქართველოს კონტროლის პალატამ, როგორც გარე აუდიტის განმახორციელებელმა

უმადლესმა დაწესებულებამ, მაგალითი მისცა საჯარო დაწესებულებებს და, მიუხედავად „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ კანონის არარსებობისა, შექმნა შიდა აუდიტის სტრუქტურა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შიდა აუდიტიც ჩაატარა.

კონტროლის პალატის სწრაფვას, უმოკლეს ვადაში გარდაიქმნას აუდიტორულ ინსტიტუტად, ხელს უშლის:

- საქართველოს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემაში არსებული მდგომარეობა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შორს არის თანამედროვე სტანდარტებისაგან;
- მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფინანსური მართვის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე – აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით აუდიტის პროცესი და პროცედურები არსებითად იცვლება; ამიტომ აუდიტის ჯეროვნად განხორციელებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება;
- ფინანსური აღრიცხვის დაბალი დონე და შიდა კონტროლის სისტემის არარსებობა – გადამწყვეტია საქართველოში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესის დაჩქარება და შიდა აუდიტის სისტემის დანერგვა-ამოქმედება.



ახალი ანგარიში

კონტროლის პალატის ფინანსები


საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს კონტროლის პალატის საბიუჯეტო ასიგნებების ოდენობა 12 959.6 ათასი ლარით განისაზღვრა.

ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების მთლიანმა ოდენობამ (გადახდამ) შეადგინა 11 994.8 ათასი ლარი, რაც 2 874.4 ათასი ლარით მეტია 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე; ასიგნებების 61% მოხმარდა კონტროლის პალატაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ჯეროვანი სამუშაო პირობების შექმნას – დღეს კონტროლის პალატის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია პერსონალურად გამოყოფილი და სათანადოდ აღჭურვილი სამუშაო ადგილით. 2009 წლის ასიგნებებიდან 5 057.8 ათასი ლარი კონტროლის პალატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ფონდია.

კონტროლის პალატის ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან

საქართველოს კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად საქართველოს კონტროლის პალატამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა:


- მოხსენება საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით;
- მოხსენება საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით;
- საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის ანგარიში.



ეს დოკუმენტები საქარლამენტო და საზოგადოებრივი განხილვის საგნად იქცა. მრავალ საკითხზე წარიმართა დისკუსია, რომელმაც ბიუჯეტის გამჭვირვალობას შეუწყო ხელი.

2009 წლის განმავლობაში მომზადდა და სათანადო შენიშვნებითა და წინადადებებით საქართველოს პარლამენტს გაეგზავნა დასკვნები „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში შესატან ყველა ცვლილებაზე, აგრეთვე „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ კანონის პროექტებზე.

საერთო ჯამში, საქართველოს პარლამენტს გაეგზავნა შენიშვნები და წინადადებები 36 კანონპროექტზე.



საჭირო სვლილებები კანონმდებლობაში

საჯარო ფინანსების მართვის, აგრეთვე ანგარიშგებისა და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისათვის, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ აუდიტის პროცესის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად წარმართვისათვის მიზანშეწონილია განხილულ იქნეს საკანონმდებლო ცვლილებები და სიახლეები, რომლებიც:

1. საჭიროების შემთხვევაში კონტროლის პალატას მისცემს საშუალებას, აუდიტის ჩასატარებლად მოიწვიოს კერძო აუდიტორი ან საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე კომპანია;
2. კონტროლის პალატის მიერ წარმართულ აუდიტის პროცესზე არ გაავრცელდეს ადმინისტრაციული წარმოების რეგულაციები;
3. სავალდებულოს გახდის პარლამენტის კომიტეტების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიშის დამტკიცებამდე აუდიტის აქტების განხილვას, რაც აამაღლებს პასუხისმგებლობის დონეს და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სფეროში ინფორმირებული მსჯელობის წარმართვას;
4. უზრუნველყოფს დაწესებულებათა მიერ ანგარიშგების პროცედურების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობას და ვადების ოპტიმიზაციას, რის შედეგადაც მხარჯავი დაწესებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წლიურ ანგარიშსა და ბალანსს წარუდგენს კონტროლის პალატის აუდიტის აქტთან ერთად; ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი ანგარიში და ნაერთი ბალანსი წარედგინება კონტროლის პალატას. მხოლოდ ამის შემდეგ გაეგზავნება საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ანგარიში კონტროლის პალატის აუდიტის აქტთან ერთად;



5. გამკაცრებს პასუხისმგებლობის ზომებს სახელმწიფო აუდიტის უმაღლესი ორგანოს – საქართველოს კონტროლის პალატის – და მისი აუდიტორების მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის.



დანართები

საქართველოს კონტროლის პალატის 2009 წლის დამატებითი ბიუჯეტი

		ათას ლარებში		
ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2009 წლის დამატებითი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. კრედიტები და გრანტები
05 00	საქართველოს კონტროლის პალატა	12 959.6	12 329.3	630.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	400.0	400.0	
	ხარჯები	9 084.6	8 715.7	368.9
	შრომის ანაზღაურება	6 813.1	6 813.1	
	საქონელი და მომსახურება	1 814.0	1 814.0	
	გრანტები	5.0	5.0	
	სოციალური უზრუნველყოფა	59.6	59.6	
	სხვა ხარჯები	392.9	24.0	368.9
	არაფინანსური აქტივები	3 875.0	3 613.6	261.4
05 01	საქართველოს კონტროლის პალატა	12 306.7	12 306.7	
	მომუშავეთა რიცხოვნობა	400.0	400.0	
	ხარჯები	8 706.7	8 706.7	
	შრომის ანაზღაურება	6 813.1	6 813.1	
	საქონელი და მომსახურება	1 814.0	1 814.0	
	გრანტები	5.0	5.0	
	სოციალური უზრუნველყოფა	59.6	59.6	
	სხვა ხარჯები	15.0	15.0	
	არაფინანსური აქტივები	3 600.0	3 600.0	

ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2009 წლის დამატებითი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. კრედიტები და გრანტები
05 02	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები	652.9	22.6	630.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა			
	ხარჯები	377.9	9.0	368.9
	სხვა ხარჯები	377.9	9.0	368.9
	არაფინანსური აქტივები	275.0	13.6	261.4

2010 წლის აუდიტის გეგმა

პრიორიტეტული სფეროებისა და დაწესებულებების მიხედვით

პრიორიტეტული სფეროები

1. სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვა
2. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მართვა
3. სოციალური პროგრამების მართვა
4. ჯანმრთელობის პროგრამების მართვა
5. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების მართვა
6. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროს მართვა
7. ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა
8. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მონიტორინგი
9. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში
10. საჯარო ფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი მაუწყებლობა

აუდიტის გეგმა

წლიური/კვარტალური

აუდიტის დაწყების თარიღს განსაზღვრავს კონტროლის პალატის თავმჯდომარე „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დაწესებულებები

1. სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი/ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
2. საქართველოს საელჩო საფრანგეთში, მონაკოს სამთავროში, პორტუგალიაში და მუდმივი წარმომადგენლობა იუნესკოში
3. საქართველოს საელჩო უკრაინაში
4. საქართველოს საელჩო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

1. საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დანესებულებები

- 8 1. განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი – APL2
- 9 2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა
- 10 3. სოციალური შეღავათების მონეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა
- 11 4. პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“
- 12 5. ზოგადი ამბულატორული მომსახურების კომპონენტი
- 13 6. ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა
- 14 7. ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა
- 15 8. ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა
- 16 9. სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დანესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამა
- 17 10. ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფებისა და საგანგებო მდგომარეობების დროს, სამედიცინო მომსახურების მიწოდების, ორგანიზებისა და დროული რეაგირებისათვის სამედიცინო დანესებულებების აღჭურვის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა
- 18 11. მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული რესურსების მართვა
- 19 12. სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი“
- 20 13. სსიპ „იულონ ლომოურის მინათმოქმედების ინსტიტუტი“
- 21 14. სსიპ „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი“

საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

- 22 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- 23 2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
- 24 3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- 25 4. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დანესებულებები

- 26 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- 27 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი
- 28 3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველო
- 29 4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
- 30 5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი
- 31 6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
- 32 7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი
- 33 8. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სად-ის №6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დანესებულება
- 34 9. სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“
- 35 10. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

- 36 11. სსიპ „სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი“
- 37 12. სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“
- 38 13. სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“
- 39 14. სსიპ „ალსრულების ეროვნული ბიურო“
- 40 15. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“
- 41 16. სსიპ „საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახური“

საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

- 42 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- 43 2. საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
- 44 3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- 45 4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დანესებულებები

- 46 1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები
- 47 2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუნყებელი“
- 48 3. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
- 49 4. სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და პრივატიზება/ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რეგიონული (სამხარეო სამმართველოები)
- 50 5. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სანარმოები, რომელთა სანესდებო კაპიტალი აღემატება 500 000 ლარს და/ან რომელთა მფლობელობაშია 1 ჰა-ზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი/ები და/ან 2008 წელი დაასრულეს ზარალით ან მოგება არ აღემატება 2 000 ლარს
- 51 6. სსიპ „ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“
- 52 7. სსიპ „მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი“
- 53 8. ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი
- 54 9. სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

- 55 1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- 56 2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
- 57 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დანესებულებები

- 58 1. ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები
- 59 2. გამწვანების ღონისძიებები
- 60 3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები
- 61 4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

- 62 5. თერჯოლის მუნიციპალიტეტი
- 63 6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
- 64 7. ხობის მუნიციპალიტეტი
- 65 8. მარტვილის მუნიციპალიტეტი

კონტროლის პალატა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

პროგრამები/დანესებულებები

- 66 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
- 67 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი
- 68 3. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 69 4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
- 70 5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი
- 71 6. სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
- 72 7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი
- 73 8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო
- 74 9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
- 75 10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეორეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის აფხაზეთის სატყეო სამმართველო
- 76 **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი**
- 77 **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი**

კონტროლის პალატა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

პროგრამები/დანესებულებები

- 78 1. ქობულეთის მუნიციპალიტეტი
- 79 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დანესებულება – სახაზინო სამსახური
- 80 3. სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
- 81 4. შპს „ბათუმის ელექტრომექანიკური და ლითონკონსტრუქციების სანარმოო გაერთიანება“
- 82 5. შპს „მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი“
- 83 6. ქალაქ ბათუმის მერია: გამწვანების ღონისძიებები
- 84 7. ქალაქ ბათუმის მერია: ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და ინფრასტრუქტურული ღონისძიებები/პროგრამები
- 85 8. სს „ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო“
- 86 9. შპს „ბათუმის სამშენებლო მასალების სავაჭრო-სანარმოო ბაზა“
- 87 10. ა(ა)იპ – ქ. ბათუმის პარკებისა და სკვერების გაერთიანება
- 88 11. შპს „ქობულეთის სამგზავრო ავტოსადგური“
- 89 12. შპს „ქობულეთის ავტომობილი-98“
- 90 13. შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო სანარმო“
- 91 14. შპს „შუახევის ავტოტექსერვისი“

- 92 15. შპს „შუახევის ავტოსატრანსპორტო სანარმო“
- 93 16. ციტრუსოვანთა ნაყოფის ექსპორტზე რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 900 000 ლარის ხარჯვის კანონიერება (შპს „სხალთა XII“)
- 94 17. სეტყვის შედეგად დაზიანებულ და არასტანდარტულ ციტრუსოვანთა ნაყოფის საკონსერვო გადამამუშავების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გაცემული 900 000 ლარის სუბვენციის გამოყენების კანონიერება (შპს „ქართული პროდუქტი“)
- 95 18. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ციტრუსის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობისა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილი 500 000 ლარის ხარჯვის კანონიერება (შპს „ნარინჯი“; შპს „ციტრო“)
- 96 19. მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შესყიდვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერება (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო)
- 97 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი – ავტონომიური რესპუბლიკის 4 სამინისტრო, მთავრობის აპარატი, მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებები და უმაღლესი საბჭოს აპარატი
- 98 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი – ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტისა და საქართველოს 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის წლიური გეგმა

- 99 1. საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები
- 100 2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
- 101 3. საქართველოს მთავრობის კანცელარია
- 102 4. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- 103 5. სახელმწიფო რწმუნებულთა-გუბერნატორთა ადმინისტრაციები
- 104 6. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- 105 7. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- 106 8. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- 107 9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
- 108 10. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
- 109 11. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
- 110 12. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
- 111 13. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- 112 14. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
- 113 15. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
- 114 16. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- 115 17. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი
- 116 18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- 117 19. საქართველოს უზენაესი სასამართლო
- 118 20. საერთო სასამართლოები
- 119 21. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
- 120 22. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

- 121 23. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
- 122 24. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- 123 25. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- 124 26. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური
- 125 27. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
- 126 28. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“
- 127 29. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
- 128 30. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- 129 31. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- 130 32. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- 131 33. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
- 132 34. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“
- 133 35. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
- 134 36. რეგიონული მართვის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

დამატებითი ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ
ჩვენს განახლებულ ვებგვერდზე:

www.control.ge



ირაკლი აბაშიძის ქ. N22
ქუთაისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 43 81 78, 43 81 31, ფაქსი: (+995 32) 43 81 31
ელ-ფოსტა: thecontrolge@control.ge

